საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 1020/01
04/02/2022

1020-01-2-202202041329

შპს „ჯეუ გრუპს“

მისამართი: ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი,

26 მაისი მოედანი, შენობა №1, VI სართული

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2022 წლის 10 იანვრის განცხადება (N 103), რომელიც ეხება ქ. თბილისში ცემენტის საწარმოს მშენებლობა-ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიშს.

სამინისტროს წარმომადგენლის მიერ, შპს „ჯეუ გრუპის“ საპროექტო ტერიტორიის დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ ადგილზე უკვე ჩატარებულია საწარმოს სამშენებლო და დანადგარების სამონტაჟო სამუშაოები. კერძოდ, მოწყობილია პროექტით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურა. ამასთან, საწარმოს ეზოში, ღია ცის ქვეშ დასაწყობებულია სხვადასხვა ფრაქციის ინერტული მასალა, რომელიც ტერიტორიაზე მტვრის გავრცელების არაორგანიზებულ წყაროს წარმოადგენს. გარდა ზემოაღნიშნული ინფრასტრუქტურისა, საწარმოში განთავსებულია მიწისქვეშა ბიტუმსაცავი, რომელშიც, საწარმოს წარმომადგენლის განმარტებით, ინახება გარკვეული მოცულობის ბიტუმი.

ვინაიდან, კომპანიის მიერ დასრულებულია სამშენებლო სამუშაოები და მოწყობილია პროექტით გათვალისწინებული სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურა - **გაცნობებთ, რომ პროექტის სკოპინგის ანგარიში წარმოდგენილი უნდა იქნეს ადგილზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, სადაც შეფასებული და გაანალიზებული იქნება საწარმოს ტერიტორიაზე ამჟამად არსებული მდგომარეობა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი შესაძლო ზემოქმედების სახეები.**

ამასთან, დამატებით გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ სკოპინგის ანგარიშში მათ შორის საქმიანობის განხორციელების ადგილზე არსებული სიტუაციის გათვალისწინებით, დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საწარმოს პროექტირების პროცესში განიხილებოდა მისი განთავსების რამდენიმე ალტერნატიული ვარიანტი, თუმცა ანგარიშში არ არის მითითებული ალტერნატიული ადგილმდებარეობების და ტერიტორიის შერჩევის ანალიზის შესახებ ინფორმაცია. ამასთან, არ არის

სათანადოდ განხილული ტექნოლოგიური ალტერნატივები, რაც ასევე საჭიროებს დაზუსტებას;

- სკოპინგის ანგარიშში მოცემულია საწარმოს მოწყობით გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია, რაც არ შეესაბამება ადგილზე არსებულ სიტუაციას;
- ვინაიდან ღია ცის ქვეშ ინერტული მასალის დასაწყობება წარმოადგენს ატმოსფერულ ჰაერში მტვრის არაორგანიზებული გაფრქვევის ძირითად წყაროს, დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია ინერტული მასალის დასაწყობების შესახებ შესაბამისი პირობების (მათ შორის, ამტვერებისა და მტვრის გავრცელების პრევენციული ღონისძიებების) მითითებით;
- საწარმოს ტერიტორიის ვიზუალური დათვალიერებით და ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ ტერიტორიის სიახლოვეს ფიქსირდება სხვადასხვა ფუნქციური დატვრითვის საწარმოები, რომლებთან მიმართებაშიც მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი და საჭიროებს დაზუსტებას;
- დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია საწარმოდან უახლოეს მოსახლემდე მანძილის შესახებ. კერძოდ, შპს „ჯეუ გრუპის“ მიმდებარე ტერიტორიის ვიზუალური დათვალიერებითა და ელექტრონული გადამოწმებით, ასევე დადგინდა, რომ საწარმოს ტერიტორიიდან უახლოესი მოსახლე დაშორებულია დაახლოებით 280-330 მეტრით;
- დაზუსტებას საჭიროებს წლის განმავლობაში საწარმოს მიერ მოხმარებული ინერტული მასალების რაოდენობის შესახებ ინფორმაცია.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით სამინისტრო ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს წერილში მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით გადამუშავებული სკოპინგის ანგარიშის გაანმეორებით წარმოდგენის შემდგომ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე